



საქართველო ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

ქ.ოზურგეთი კოსტავას ქ.№1

1 აპრილი 2013 წელი

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა №86

უძრავ ქონებაზე ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრების უფლების რეგისტრაციის მოთხოვნის შესახებ

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 33-ე მუხლის მე-3 პუნქტის „პ.ბ“ ქვეპუნქტის, 43-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, „ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის, მე-8 მუხლის, „საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის და სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს 2013 წლის 25 მარტის №1/1-137 ბრძანების შესაბამისად:

გ ბ რ ძ ა ნ ე ბ

მუხლი 1. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ გურიანთაში მდებარე 900.24 კვ.მ. მილსადენის (მიწის (უძრავი ქონების) ს/კ. №26.00.201) ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრების უფლების რეგისტრაციისათვის მიემართოს სსიპ „საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტო“-ს, რათა განახორციელოს აღნიშნულ უძრავ ქონებაზე ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრების უფლების რეგისტრაცია.

მუხლი 2. სსიპ „საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტო“-ში შესაბამისი ქმედების განხორციელებაზე უფლებამოსილება მიენიჭოს, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის იურისტს გიორგი ხუროშვილს (პირ.№33001054782).

მუხლი 3. ბრძანება გადაეგზავნოს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობას.

მუხლი 4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში გაცნობიდან ერთი თვის ვადაში (მის: ქ. ოზურგეთი სიორიძის ქ.№14).

მუხლი 5. ბრძანება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე

ალეკო მამეშვილი